, და მან დაამატა: „მე ვარ დიმამ იბნ სა'ლაბა, სა'დ ბინ ბაქრის ტომის ძმა

ანასისაგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია რომ მან თქვა: როდესაც ჩვენ ვიჯექით მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად მეჩეთში, ერთი კაცი შემოვიდა აქლემით, გააჩერა ის მეჩეთში და მიაბა მასზე, შემდეგ ჰკითხა მათ: „რომელი ხართ მუჰამედი?“ მოციქული მუჰამედი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ხალხს შორის ხელზე დაყრდნობილი იჯდა, და ჩვენ ვუპასუხეთ: "ეს არის თეთრსახიანი კაცი, რომელიც ხელზე დაყრდნობილი ნახევრად წამოწოლილია". კაცმა უთხრა მას: " შენ ხარ აბდულმუტტალიბის ძე?“. მოციქულმა მუჰამედმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: „უკვე გიპასუხე!“. კაცმა უთხრა: "მე დაგისვამ კითხვებს და ცოტა მკაცრად მოვიქცევი, გთხოვ არ განაწყენდე". მან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: "მკითხე, რაც გსურს! კაცმა ჰკითხა: "გეკითხები შენი ღმერთისა და შენს წინამორბედთა ღმერთის სახელით, ღმერთმა გამოგგზავნა ხალხისთვის?“ მან უპასუხა: „ო, ღმერთო, დიახ!" კაცმა თქვა: "გეკითხები ღმერთის სახელით, ღმერთმა გიბრძანა, რომ ვილოცოთ ხუთი დროის ლოცვა დღეღამეში?“ მან უპასუხა: "ო, ღმერთო დიახ!" კაცმა თქვა: "გეკითხები ღმერთის სახელით, ღმერთმა გიბრძანა, რომ ვიმარხოთ ეს თვე წელიწადიდან?“ მან უპასუხა: "ო, ღმერთო, დიახ!“. კაცმა თქვა: "გეკითხები ღმერთის სახელით, ღმერთმა გიბრძანა, რომ ეს (სადაყა) შემოწირულობა ავიღოთ ჩვენი მდიდრებისგან და განაწილდეს ჩვენს ღარიბებზე?“ მოციქულმა მუჰამედმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: "ო, ღმერთო, დიახ!" კაცმა თქვა: "მე ვირწმუნე იმის, რითაც მოხვედი, და მე ვარ წარმომადგენელი ჩემი ხალხისგან", და მან დაამატა: „მე ვარ დიმამ იბნ სა'ლაბა, სა'დ ბინ ბაქრის ტომის ძმა".

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ანას ბინ მალიქი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გვამცნობს: „როდესაც საჰაბები მეჩეთში ისხდნენ მოციქულ მუჰამედთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), მოვიდა კაცი აქლემით, გააჩერა ის, შემდეგ კი მიაბა, შემდეგ კითხა მათ: რომელი ხართ მუჰამმადი? მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იჯდა, ხელზე დაყრდნობილი ხალხის შორის, და ჩვენ ვთქვით: „ეს განათებული ადამიანი, რომელიც ხელზე ეყრდნობა". მაშინ კაცმა უთხრა მას: „ო, აბდულ მუტტალიბის ძეო, მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მას უპასუხა: „გისმენ, დასვი კითხვა და მე გიპასუხებ". მაშინ კაცმა უთხრა მოციქულ მუჰამმადს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) : „მე დაგისვამ კითხვებს მკაცრად და გთხოვ არ განაწყენდე.“ ანუ: ნუ გაბრაზდები და ნურც ეს მოგიყენებს უხერხულობას. უთხრა: "მკითხე რაზეც გსურს", მაშინ მან თქვა: "გეკითხები შენი ღმერთისა და შენ წინამორბედთა ღმერთის სახელით, ღმერთმა გამოგგზავნა ხალხისთვის?" მან უპასუხა: "ო, ღმერთო, დიახ!", რათა დაემოწმებინა თავისი სიწრფელე. კაცმა თქვა: „გეკითხები ღმერთის სახელით, ღმერთმა გიბრძანა, რომ ვილოცოთ ხუთი ლოცვა დღეში-ღამეში?“ ეს არის სავალდებულო ლოცვები, უპასუხა: "ო, ღმერთო, დიახ!" მან თქვა: "გეკითხები ღმერთის სახელით, ღმერთმა გიბრძანა, რომ ვიმარხოთ ერთი თვე წელიწადიდან?" ანუ: რამადნის თვე, უპასუხა: "ო, ღმერთო, დიახ!" მან თქვა: „გეკითხები ღმერთის სახელით, ღმერთმა გიბრძანა, რომ აიღო ეს შემოწირულობა ჩვენი

მდიდრებისგან და დაანაწილო ჩვენს ღარიბებში?"იგულისხმება ზაქათი, მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: „ო, ღმერთო, დიახ!" მაშინ დამამმა ისლამი მიიღო და ამცნო მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ იგი მოუხმობს თავის ხალხს ისლამზე. შემდეგ მან თავი წარუდგინა, რომ ის იყო დამაამ ბნ სა'ლაბა იყო ბანუ სა'დ ბინ ბაქრის ტომიდან.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/65044